



ბანანა იოშიმოტო

სამზარეულო

დიდგენის
გიგლოთაქა

ბანანა იოშიმოტო
სამზარეულო

吉本 ばなな
キッチン

Banana Yoshimoto
KITCHEN

იაპონურიდან თარგმნა დავით გოგინაშვილმა

JAPANFOUNDATION  **國際交流基金**

ნიგნი გამოიცა იაპონიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

後援：独立行政法人國際交流基金

© 1988 by Banana Yoshimoto

Japanese original edition published by Shinchosha Publishing Co., Ltd.,
Japan Georgian language translation rights arranged with Banana Yoshimoto
through ZIPANGO, S.L.

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-789-3

[www. diogene. ge](http://www.diogene.ge)

სარჩევი

სამზარეულო	7
სავსემთვარეობა	59

სამზარეულო

მგონი, ამქვეყნად ყველა ადგილზე მეტად სამზარეულოები მიყვარს.

არ აქვს მნიშვნელობა, სად არის და როგორია – თუ სამზარეულოა და საჭმელი კეთდება, არ მოვიწყენ. კარგია, როცა სამზარეულო ფუნქციური და მოსახერხებელია – ყოველთვის არის რამდენიმე მშრალი, სუფთა ტილო; როცა იატაკის ფილები თეთრად ბზინავს.

თუმცა, ბინძური სამზარეულოებიც წარმოუდგენლად მიზიდავს – იატაკზე ბოსტნეულის ნაკუნები ყრია და ჭუჭყი ისეა გამჯდარი, რომ ფლოსტების ძირები მთლად გიშავდება. თან, თუ ეს სამზარეულო უჩვეულოდ ფართოც არის, ხომ მთლად უკეთესი. იქვე აღმართული უზარმაზარი მაცივარი პროდუქტით ისეა გამოტენილი, რომ ერთ ზამთარს თავისუფლად გაგატანინებს. სწორედ ასეთი მაცივრის ვერცხლისფერ კარს ვიყავი მიყრდნობილი. ცხიმით მოთხვრილ გაზქურასა და ჟანგმოკიდებულ დანას თვალი რომ მოვწყვიტე და მალლა ავიხედე, იქ, ფანჯრის მიღმა, ვარსკვლავი ეულად ლიცილიცებდა.

მხოლოდ მე და სამზარეულო დავრჩით. – ვგონებ, ამისთანა ფიქრი ოდნავ მაინც ჯობია იმ აზრს, რომ სულ მარტო ვიყავი დარჩენილი.

დაღლილობისგან მისავათებულს ხშირად აღფრთოვანებით მიფიქრია, სიკვდილის დრო როცა მომიწევს, სიამოვნებით დავლევ სულს სამზარეულოში მეთქი. არ აქვს მნიშვნელობა, სიცივესა და სიმარტოვეში, თუ ვინმესთან ერთად, თბილ გარემოში, მთავარია, სამზარეულოში ვიყო და სიკვდილს ბოლომდე უდრტვინველად შევხედავ თვალებში.

სანამ ვატანაბეს ოჯახი შემთავრებდა, ყოველ ღამეს სამზარეულოში ვიძინებდი.

სადაც უნდა ვყოფილიყავი, ყველგან საშინლად მიჭირდა ძილი. ერთ დილას კი აღმოვაჩინე, რომ ჩემდა უნებურად, კომფორტული ადგილის ძიებაში ოთახიდან სამზარეულოსკენ გადამენაცვლა და მაცივრის გვერდით ტკბილად ჩამძინებოდა.

მიკაგე საკურაი მქვია. მშობლები ადრეულ ასაკში გარდამეცვალნენ და პაპა-ბებიათ გაზარდეს. მე-7 კლასში რომ გადავედი, პაპაც მომიკვდა და მას შემდეგ ქვეყნად მხოლოდ მე და ბებია ვიყავით ერთმანეთს შერჩენილები.

ცოტა ხნის წინ ბებიაც აღესრულა. თავზარი დამეცა.

უნებლიეთ გამახსენდებოდა ხოლმე, რომ ის, რასაც ოდესღაც ოჯახი ერქვა, წლიდან წლამდე, ერთი მეორის მიყოლებით ხელიდან გამომეცალა, მარტოდ-მარტო შევრჩენოდი აქაურობას და გარშემო ყველაფერი

სიყალბედ მიჩვენებოდა. მზაფრავდა იმაზე ფიქრი, რომ ოთახში, რომელშიც დავიბადე და გავიზარდე, დრო ძველურად მიედინებოდა, მე კი სრულიად მარტო ვიყავი. სამეცნიერო ფანტასტიკას, ამოუცნობ კოსმოსურ უკუნეთს ჰგავდა ეს ყველაფერი.

გასვენების მერე სამიოდე დღე გათიშული ვიყავი. აუტანელმა დარდმა ცრემლი გამიშრო და ნება-ნება ძილისკენ მექაჩებოდა. სიჩუმითა და შუქით გავსებულ სამზარეულოში ლეიბი გავშალე, ლაინუსივით პლედში გავეხვიე და თავი ძილს მივეცი. მაცივრის როხროხა ხმა მარტოობისგან მიცავდა. აქ გრძელმა ღამემ მოულოდნელ სიმშვიდეში გაიარა და დილაც დადგა.

როგორც ჩანს, უბრალოდ, ვარსკვლავების ქვეშ მსურდა ძილი.

მინდოდა, რომ დილის სხივებს გავეღვიძებინე.

სხვა ყველაფრისადმი გულგრილი ვიყავი.

მაგრამ როდემდე უნდა ვყოფილიყავი ასე?! რეალობა ხომ გასაოცარია!

მიუხედავად იმისა, რომ ბებიამ საკმარისი ფული დამიტოვა, ეს ბინა ჩემთვის ზედმეტად ფართო და ძვირი იყო, ამიტომ ახალი საცხოვრისი უნდა მომიძებნა.

სხვა გზა არ იყო. განცხადებების გაზეთი ვიყიდე და თვალიერება დავიწყე. ამდენი ერთნაირი ბინის თვალიერებამ თავბრუ დამხვია. გადასვლის პროცესი თავის ტკივილი ყოფილა, ძალისხმევასა და ენერგიას მოითხოვს.

ძალაგამოცლილი ვიყავი, დღე და ღამე სამზარეულოში ძილისაგან სახსრები მტკიოდა, და ამ დროს – ჩემი სრულიად აბურღული აზრების წესრიგში მოყვანა, ბინების თვალიერება, ბარგი-ბარხანის გადაზიდვა, ტელეფონის შემოყვანა... – გადასვლის თანამდევით ათასგვარი პრობლემა მახსენდებოდა და სასონარკვეთილებისაგან უფრო მეტად ვეძლეოდი ძილს. სწორედ ამ დროს, ზეციური მანანასავით, მოულოდნელად სასწაული მენჭია – გუშინდელივით მახსოვს ის ნაშუადღევით.

ზრრრრ! – უეცრად კარზე ზარის ხმა გაისმა.

ოდნავ მოღრუბლული დღე იყო. განცხადებების უგულოდ თვალიერება ყელში მქონდა ამოსული და რადგან ადრე თუ გვიან მაინც უნდა გადავბარებულყავი, ბანრით ჟურნალების დასტებად შეკვრაზე ვიყავი კონცენტრირებული. დაბნეულობისაგან, სანახევროდ პიჟამებში გამონცობილმა შემოსასვლელს მივაშურე, გასაღები გადავატრიალე და კარი გავაღე (კიდევ კარგი ყაჩაღები არ იყვნენ). კარში იუიჩი ვატანაბე იდგა.

– მადლობა, ამას წინათ რომ დამეხმარე. – ვუთხარი მე. ეს იყო ჩემზე ერთი წლით უმცროსი, სასიამოვნო ყმაწვილი, რომელიც გასვენების ორგანიზებაში ძალიან დამეხმარა. რომ ჩავეძიეთ, აღმოჩნდა, რომ ერთი და იმავე უნივერსიტეტის სტუდენტები ვიყავით. თუმცა, იმ პერიოდში მე უნივერსიტეტში აღარ დავდიოდი.

– არაფრის. ახალ ბინაზე გადანყვიტე რამე? – მკითხა მან.

– ჯერ სრულიად ვერაფერი. – გამეცინა მე.

– ეგრეც ვიცოდი.

– შემოდი. ჩაით გაგიმასპინძლები.

– არა. რალაც საქმეზე მეჩქარება. – ღიმილით მითხრა. – უბრალოდ მინდოდა, მეთქვა, რომ დედას მოველაპარაკე და თუ გინდა, ცოტა ხნით ჩვენთან წამოდი საცხოვრებლად.

– ჰა? – აღმომხდა მე.

– მოკლედ, საღამოს 7 საათისთვის ჩვენთან გელოდები. აგერ, რუკაც.

– ჰა? – უნებლიეთ გამოვართვი ფურცელი, რომელზეც ხელით იყო დახატული რუკა.

– აბა დროებით, მიკაგე სან. იცოდე, მეც და დედაც ძალიან გელოდებით. – გაეღიმა. ჩემი სახლის კარში მდგარ ამ ყმანვილს იმდენად ნათელი ღიმილი ჰქონდა, რომ მის თვალებს მზერას ვერ ვწყვეტდი. არ ვიცი, ალბათ, სახელით რომ მომმართა, ამან იმოქმედა და უნებლიეთ ვუპასუხე:

– კარგი, გესტუმრებით.

შეიძლება, ცუდად გაიჟღეროს, მაგრამ ისე ვიგრძენი თავი, თითქოს ეშმაკი შემჩენოდა. თუმცა, მეორე მხრივ, იმდენად „მაგარ ბიჭად“ მეჩვენა, რომ უმაღვე ჩემი ნლობა მოიპოვა. ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, როცა ეშმაკი შემიჩნდება ხოლმე, თვალწინ აღმართულ უკუნეთში გზა გამოჩნდა. თეთრი ნათებით მოელვარე გზა დავინახე და ამიტომაც დავთანხმდი.

დროებითო, მითხრა და ღიმილით გაბრუნდა.

ბებიის გასვენებამდე მას თითქმის არც ვიცნობდი.

გასვენების დღეს მოულოდნელად მოვლენილი იუიჩი ვატანაბე, მთელი სერიოზულობით, ბებიაჩემის საყვარელი მეგონა. მან საკმეველს ცეცხლი მოუკიდა, ნამტირალევი თვალები მილულა და ხელები აუთრთოლდა. მერე ბებუის სურათს შეხედა და ისევ ღაპაღუბით წამოუვიდა ცრემლები.

იმდენად დათრგუნული მეჩვენა, რომ მის შემყურეს უნებლიეთ გამკრა: „ნუთუ ამ ბიჭს ჩემზე მეტი საყვარელი ჰქონდა ბებიაჩემის მიმართ?“

სახე ცხვირსახოცში ჩარგო და ჩაილაპარაკა:

– მომეცი საშუალება, რამით დაგეხმარო. – ამის მერე ყველაფერში გვერდით მედგა.

იუიჩი ვატანაბე.

დიდი ხანი დამჭირდა იმის მოსაგონებლად, თუ როდის ახსენა ბებიაქ ეს სახელი და ალბათ ამიტომაც დავიბენი.

მერე აღვიდგინე, რომ იმ ყვავილების მაღაზიაში მუშაობდა, რომელსაც ბებია ხშირად აკითხავდა ხოლმე. „ერთი სასიამოვნო ახალგაზრდაა. ვატანაბე კუნს ეძახიან. აი, დღესაც...“ – მახსოვს, რამდენჯერმე ჰქონდა მსგავსი რამ ჩემთვის ნათქვამი. ცოცხალი ყვავილების მოყვარულ ბებიაჩემს სამზარეულოში მუდმივად ახალი თაიგულები ედო. ამიტომ ყვავილების მაღაზიას კვირაში ორჯერ მაინც აკითხავდა ხოლმე. გამახსენდა, ერთხელ ბებია სახლამდეც კი მოაცილა და დიდი, ყვავილებიანი ქოთანის მოატანინა.

გრძელფეხება, ღამაზი სახის ყმანვილი იყო. მისი ვინაობის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ არაერთხელ

შემინიშნავს, როგორ ბეჯითად შრომობდა იმ ყვავილების მაღაზიაში. თუმცა, მაშინაც კი, როცა ოდნავ უკეთ გავიცანი, არ მტოვებდა შეგრძნება, თითქოსდა „ცივი“ ხასიათი ჰქონდა. რაც უნდა თბილი სიტყვებით ესაუბრა და კეთილად მომქცეოდა, მაინც მარტოობის მოყვარული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იმის თქმა მინდა, რომ ჩემთვის ის სრულიად უცხო ადამიანი იყო, რომელსაც მხოლოდ ზედაპირულად ვიცნობდი.

წვიმიანი ღამე იყო. თბილი, უხმაურო წვიმის ქვეშ, რუკით ხელში, გაზაფხულის ნისლში გახვეული ქალაქის ღამეულ ქუჩებს მივუყვებოდი.

კორპუსი, რომელშიც ვატანაბეს ოჯახი ცხოვრობდა, ჩემი სახლის საპირისპიროდ, ქალაქის ცენტრალური პარკის მეორე მხარეს მდებარეობდა. პარკს რომ ვკვეთდი, მეჩვენებოდა, თითქოს ღამისა და სველი ბალახის სურნელში ვიყავი გახვეული. ჭყაპაჭყუპით მივაბიჯებდი სველ, განათებულ ბილიკზე, რომელზეც ცისარტყელას ფერები ირეკლებოდა.

გულწრფელად გითხრათ, უბრალოდ დამპატიყეს და მეც მივდიოდი. სააააერთოდ არაფერზე მიფიქრია.

მაღალსართულიან კორპუსს რომ ავხედე, მისი ბინა – მეთაე სართულზე – ძალიან მაღლა მეჩვენა და ვიფიქრე, ალბათ რა ღამაზი ღამის ხედი ექნება-მეთქი.

ლიფტიდან გამოვედი, ზარის ღილაკს თითი რომ დავაჭირე და თან დერეფნიდან გამომავალ ფეხის ხმას მივაყურადე, უეცრად კარი იუიჩიმ გააღო.

– მობრძანდი. – მითხრა მან.

ბოდის მოხდით შევაბიჯე და ცოტა არ იყოს, უცნაურ გარემოში აღმოვჩნდი. პირველ რიგში, ყურადღება მიიქცია უზარმაზარმა დივანმა, რომელიც სამზარეულოზე მიბმულ მისაღებ ოთახში დაედგათ. ამ ფართო სივრცეში, ერთ მხარეს სამზარეულოს ჭურჭლით სავსე თაროები იყო, მეორე მხარეს არც მაგიდა იდგა, არც ხალიჩა ეფინა, მხოლოდ დივანი განთავსებულიყო. ჩალისფერი, ნაჭერგადაკრული დივანი – აი ისეთი, რეკლამებში რომ აჩვენებენ – ტელევიზორის საყურებლად მთელი ოჯახი ერთად რომ მოკალათდება და გვერდით, იაპონიაში რომ ვერსად ნახავ, ისეთი დიდი ძალი რომ წამოყუნცდება ხოლმე, – მართლაც რომ საუცხოო დივანი იყო.

უზარმაზარი ფანჯრის წინ, ვერანდაზე რომ გადიოდა, სხვადასხვა ფორმის აუარება ქოთანნი ეწყო, ამ ქოთნიებიდან ამოსულ მცენარეთა ერთიანობა კი ჯუნგლებს მოგაგონებდა. კარგად მიმოვიხედე და აღმოვაჩინე, რომ სახლი მცენარეებით იყო სავსე. ყველა კუთხეში საყვავილეები იდგა, რომლებიც სეზონის შესაფერისი ყვავილებით იყო გალამაზებული.

– დედა, გამოვდივარ და მალე ვიქნებიო. თუ გინდა, მანამდე სახლს დაგათვალიერებინებ. რის მიხედვით განსჯი ხოლმე? – მკითხა მან და თან ჩაის დაყენებას შეუდგა.

– რას გულისხმობ? – იმ რბილ დივანზე მოკვალათდი და კითხვითვე ვუპასუხე.

– სახლსა და სახლის პატრონის გემოვნებას. აი, მაგალითად, ხშირად ამბობენ, რომ ტუალეტის მიხედვით პატრონებზე ბევრის თქმა შეიძლება, არა?

იუიჩი ისეთ ტიპაჟს განეკუთვნებოდა, გულგრილად რომ ილიმიან და განონასწორებულად, მშვიდად საუბრობენ.

– სამზარეულო. – ვუპასუხე.

– ე. ი. აქ. დაათვალიერე, რაც გინდა. – თქვა მან.

სანამ ის ჩაის აყენებდა, უკნიდან მოვუარე და სამზარეულოს დავაკვირდი. ხის იატაკზე გაფენილი რბილი ხალიჩა, იუიჩის ხარისხიანი ფლოსტები... მინიმალური საჭიროების ჭურჭელი აკურატულად იყო დაწყობილი. „სილვერსტოუნის“ ტაფა და გერმანული სათლელი აპარატი – ზუსტად ისეთი, ჩვენ რომ გვქონდა. ასეთ აპარატზე ზარმაცი ბებიჩემიც კი სიხარულით თლიდა ბოსტნეულს.

პატარა ლამპით განათებული ჭურჭლეული თავის ჯერს მდუმარედ ელოდა. ბზინავდა შუშის ჭიქები. თუ კარგად დააკვირდებოდი, აღმოაჩენდი, რომ სრულიად ქაოსურად, მაგრამ უკლებლივ მაღალი ხარისხის ნივთები შეეკრიბათ. თასები, გრატანის თევშები, უზარმაზარი ვარცლები, ლუდის თავსახურიანი კათხები – ყველაფერი საოცრად გამოიყურებოდა. იუიჩის ნებართვით პატარა მაცივარშიც შევიხედე. შიგთავსი მონესრიგებული იყო – უმიზნოდ დაგდებულს ვერაფერს ნახავდი.

– უჰუ, უჰუ, – მონონების ნიშნად თავს ვუქნევდი და აქეთ-იქით ვიყურებოდი. ჩინებული სამზარეულო იყო. ერთი ნახვითვე ძალიან შემიყვარდა იქაურობა.

დივანს დავუბრუნდი და ცხელმა ჩაიმაც არ დააყოვნა.

უცხო სახლში, ჩემთვის თითქმის უცნობ ადამიანს ველაპარაკებოდი. რატომღაც უკიდევანო მარტოობის განცდა დამეუფლა.

საკუთარი თავის ანარეკლს შევეჩეხე, წყვდიადით მოთხვრილ, უზარმაზარ ფანჯარაში, წვიმით დაბურულ ღამის ხედს რომ გადაჰყურებდა.

მთელს სამყაროში აღარ არსებობდა ადამიანი, ვისთანაც სისხლისმიერი კავშირი მექნებოდა, ამიტომ შემედლო, ნებისმიერ ადგილას ნავსულიყავი და ნებისმიერი საქმე მეკეთებინა – ამის გააზრებამ აღმაფრთოვანა.

სამყარო იმდენად უკიდევანო იყო, წყვდიადი კი იმდენად ბნელი... ჩემი ხელები და მზერა პირველად შეეხო მათ თანამდევ უსაზღვრო მომხიბლაობასა და სიმარტოვეს. „დღემდე სამყაროს მხოლოდ ცალი თვალით ვუყურებდი“. – გავიფიქრე.

– რატომ დამპატიჟე? – ვკითხე იუიჩის.

– ვიფიქრე, გასაჭირში იყავი და... – კეთილად მოჭუტა თვალები და მიპასუხა. – ბებიაშენი მართლა ყოველთვის თბილად მექცეოდა. თან, როგორც ხედავ, სახლშიც ამდენი სივრცე გვაქვს და... იქიდან გადასვლა გინევს, არა? უკვე...

– ჰო, თუმცა სახლის პატრონი კეთილად მეპყრობა და ვადებს მიგრძელებს ხოლმე.

– ჰოდა, შეგიძლია, ჩვენთან გადმოხვიდე. – დაასკვნა ისე, თითქოს ძალიან ბუნებრივი რამე ეთქვას. მისმა ამ, არც გადაჭარბებულად თბილმა და არც ზედმეტად ცივმა, დამოკიდებულებამ თითქოს სულში სითბო

ჩამიღვარა. იმდენად, რომ ტირილი მომინდა. სწორედ ამ დროს კარი ხმაურით გაიღო და ოთახში საოცრად ლამაზი ქალი ქოშინით შემოვარდა.

გაფართოებული თვალებით მივაჩერდი. აშკარად ახალგაზრდა აღარ იყო, მაგრამ მართლა ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა. ყოველდღიურობისათვის უჩვეულო ტანსაცმელი და მძიმე მაკიაჟი იმაზე მეტყველებდა, რომ რომელიმე ღამის დანესებულებაში უნდა ემუშავა.

– გაიცანი. ეს მიკაგე საკურაია. – წარუდგინა ჩემი თავი იუიჩიმ.

ქალმა სული ძლივს მოითქვა, გამიღიმა და ოდნავ ჩახლჩილი ხმით მითხრა:

– ძალიან სასიამოვნოა. მე იუიჩის დედა ვარ. ერიკო მქვია.

„დედაა?!“ გაცუებისაგან თვალს ვერ ვწყვეტდი. მხრებამდე დაშვებული მბზინვარე თმა, თვალის ვინრო ჭრილის სიღრმიდან წამოსული ელვარება, ლამაზი ფორმის ტუჩები, სწორი, მაღალი ძგიდე... ყველაფრიდან სიცოცხლის ძალის კაშკაშა შუქი გამოსჭვიოდა – თითქოს მინიერი არსება არც ყოფილაო. ასეთი ადამიანი ცხოვრებაში არ მენახა.

მოურიდებლად, თითქმის უზრდელურადაც კი მივშტერებოდი. ბოლოს ძლივს მოვახერხე და ღიმილითვე ვუპასუხე:

– ძალიან სასიამოვნოა.

– კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენთან. – გულთბილად მითხრა და იუიჩის მიუბრუნდა. – ბოდიში, ახლა ვერაფ-

რით ვტოვებ სამსახურს. ტუალეტში გავალ-მეთქი, მოვიტყუე და აქეთ გამოვიქეცი. დილისკენ უფრო თავისუფალი ვიქნები, ასე რომ, მიკაგე სანი ამაღამ ჩვენთან დატოვე. – ნაჩქარევად მიაყარა, ააფრიალა თავისი წითელი კაბის კალთები და დერეფნისკენ გაიქცა.

– მანქანით გაგიყვან. – უთხრა იუიჩიმ.

– ბოდის ვიხდი, ჩემს გამო ასე რომ მოგინიათ შენუხება. – მივაძახე მე.

– პირიქით, მე მაქვს საბოდისო. რას ნარმოვიდგენდი ამდენი კლიენტი თუ მოგვანყდებოდა. მოკლედ, დილამდე! – თქვა და მაღალ ქუსლებზე შემდგარი გარეთ გავარდა.

– მანამდე შეგიძლია, ტელევიზორს უყურო. მალე მოვალ. – მომაცხა იუიჩიმ და უკან გაედევნა. ოთახში მარტო აღმოვჩნდი.

გულდასმით თუ დააკვირდებოდი, ასაკის თანმდეგ ნაოჭებს, ოდნავ არეულ თანკბილვასა და სხვა ადამიანურ ნაკლოვანებებს აღმოაჩენდი, მაგრამ მაინც განსაცვიფრებლად ლამაზი იყო. მომინდა, კიდევ ერთხელ შევხვედროდი. სულში თბილი შუქი ჩამიდგა, თითქოს, მისი ნასვლის შემდეგ დარჩენილი ლანდი ციალებდა. სწორედ ესაა ნამდვილი „ეშხი“, ვიფიქრე მე. ამ სიტყვას ჩემს თვალწინ ხორცი შეესხა და გაცოცხლდა, ზუსტად ისე, ჰელენმა¹

¹ ავტორი გულისხმობს ამერიკელ მწერალსა და მოღვაწეს, ჰელენ კელერს, რომელიც დაბადებით ყრუ-მუნჯი და ამავე დროს ბრმა იყო, მაგრამ მაინც მოახერხა განათლების მიღება. მის სწავლაში გარდამტეხად მიიჩნევა ეპიზოდი, როდესაც ჰელენმა წყალთან შეხებისას ის აღიქვა, როგორც „წყალი“.